ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №4

ლანჩხუთი **22.04.2019 წელი**
12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ვერიკო კვირკველია.

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.
არ ესწრებოდა: კახა ასკურავა
მოწვეული პირები: გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი დურმიშხან ხოფერია, ამავე სოფლის მკვიდრნი: იური ჩხაიძე, სერგო იმნაძე, შოთა ლომაძე და მიშიკო ჩხაიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვირკველიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქუჩის დამისამართებასთან დაკავშირებით მოსახლეობასთან კონსულტაცია“.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი

დღის წესრიგი

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქუჩის დამისამართებასთან დაკავშირებით მოსახლეობასთან კონსულტაცია“.

დღის წესრიგის პირველი საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე დამსწრე პირთა ვინაობა, რომლებიც გეიმზალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლები იყვნენ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 იანვრის №239 დადგენილების შესაბამისად, აღნიშნული პირები მოწვეულია ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით კონსულტაციის მიზნით, რათა კომისიისთვის ნათელი იყოს სახელდების მიზანი. სახელდების ინიციატორია გეიმზალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ქალბატონი ცისანა ურუშაძე, რომელიც თავის მოტივაციაში სახელდების შესახებ ხაზს უსვამს იმ ქუჩის ყოფით პრობლემებს, რომლის სახელდებაც გაუმჯობესებდა ადგილობრივი მოსახლეობის პირობებს. აღსანიშნავია, რომ ჯამშულიაი ხოდერიას ქუჩა წყდება რკინიგზის გადასასვლელიან.

ამავე მიზნით კომისიის სხდომას ესწრებოდა მერის წარმომადგენელი გეიმზალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დურმიშხან ხოფერია, რომელმაც მხარი დაუჭირა წარმოდგენილ მოტივაციას და განმარტა, რომ სახელდება უამრავ პრობლემას გადაჭრიდა.

კომისიის თავმჯდომარემ თხოვა მოწვეულ პირებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

იური ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ამ ქუჩის ყველა მაცხოვრებელმა დაარეგისტრირა უმრავი ქონება საჯარო რეესტრში იმ იმედით, რომ მისდებოდა წყლის, გაზისა და დენის შეყვანა, თუმცა შეიქმნა გარკვეული პარიერები და ერთ-ერთი წინაღობად დასახელდა ქუჩის დამისამართების პრობლემა.

სერგო იმნაძე დაეთანხმა იური ჩხაიძის მოსაზრებას და გამოთქვა სურვილი მომხდარიყო უახლოეს მომავალში ქუჩის სახელდება.

შოთა ლომსაძემ და მიშიკო ჩხაიძემ დასძინეს, რომ ორ წელზე მეტია ამ საკითხზე მიმდინარეობს მსჯელობა და დაპირება, თუმცა საკითხი დღემდე გადაუჭრელია.

იური ჩხაიძემ განმარტა, რომ ათეული წლის წინ ამ ადგილას იყო ყველანაირი კომუნიკაცია, თუმცა ომიანობის პერიოდში გაიპარცვა და მას შემდეგ არავის მოუქცევია ყურადღება ამ პრობლემისადმი.

კომისიის წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ თუკი მოსახლეობის მიერ დასახელებულ პრობლემას გადაჭრის მისი სახელდება და შემდგომში ნუმერაცია, მისაღები და გასაზიარებელი იქნება ცისანა ურუშაძის მიერ გამოთქმული ინიციატივა, მით უფრო, რომ ამ ინიციატივას ეთანხმება ამ ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა.

კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №4

ლანჩხუთი 22.04.2019 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმშალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯამბულათ ხოფერიას ქუჩის გაგრძელების დამისამართებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა გვიმშალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ცისანა ურუშაძის ინიციატივა, მოისმინა გვიმშალაურის ადმინისტრაციული ერთეულში მცხის წარმომადგენლის დურმიშხან ხოფერიას განმარტება, გაესარჩლა სხდომა მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით და დასკვნა, რომ

მიზანშეწონილია, მოხდეს გვიმშალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯამბულათ ხოფერიას ქუჩის გაგრძელების (სიგრძე დაახლოებით 7 კმ.) სახელდება ამავე სახელწოდებით.

კომისიის თავმჯდომარე: ვ. ... ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.04.2019 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	11.58	
2	კახა ზოლაქვაძე	12.00	
3	გოდერძი ქურციძე	12.00	
4	კახაბერ ასკურავა	[illegible]	